# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №2-3 (81-82) 2018

## თსუ 100 წლისაა – იუბილის აღნიშვნა დაიწყო

„ზუსტად ასი წლის წინ, 1918 წლის 8 თებერვალს (ძველი სტილით, 26 იანვარს) საზეიმოდ გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი - პირველი ეროვნული უნივერსიტეტი კავკასიაში და მაშინდელი, ყოფილი რუსეთის იმპერიის სივრცეში. ამ უმნიშვნელოვანესმა ფაქტმა დიდ წილად განსაზღვრა საქართველოს შემდგომი საგანმანათლებლო, კულტურული, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური გეზიც კი“. – ასე დაიწყო თავისი მიმართვა საზოგადოებისადმი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ 8 თებერვალს უნივერსიტეტის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ოფიციალურ საზეიმო სხდომაზე, რომელსაც 50-მდე ქვეყნის უნივერსიტეტის წარმომადგენლები, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, საქართველოს მთავრობის წევრები, თსუ-სა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტების წარმოადგენლები ესწრებოდნენ.

საზეიმო სხდომა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო თსუ 100 წლის იუბილის აღსანიშნავ ღონისძიებათა ნუსხაში, რომელიც იუნესკოს ეგიდით მიმდინარეობს, 2017 წლის 15 დეკემბერს „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ აღდგენით დაიწყო და მთელი 2018 წლის მანძილზე გაგრძელდება.

თებერვალი ამ თვალსაზრისით, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა. უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან




გაგრძელება მე-2 გვ.




*საიუბილეო დღეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არაერთი სტუმარი ეწვია. მათ შორის, იყვნენ 50-მდე ქვეყნის უნივერსიტეტების წარმომადგენლები, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, საქართველოს მთავრობისა და საკანონმდებლო ორგანოს წევრები, ასევე მოწვეული სტუმრები, რომელთა წინაპრებმაც საუკუნის წინ, ქართულ უმაღლეს სასწავლებელს ჩაუყარეს საფუძველი. დღეს მკითხველს მათ სურვილებსა და მილოცვებს ვთავაზობთ.*

გაგრძელება მე-7 გვ.

## რატომ თსუ?



ყველა აბიტურიენტის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა უმაღლეს სასწავლებელზე არჩევანი უნდა შეაჩეროს. ამ არჩევანის გაკეთებაში ახალგაზრდებს შემდეგი ინფორმაცია შეიძლება დაეხმაროს:

თსუ არის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში, N359 /The U.S. News&World Report - Best Global Universities Ranking/; (2017 წ.).

უნივერსიტეტი Times Higher Education World University Rankings-ის მიხედვით N801+ ადგილზეა; (2016 წ.).

შანხაის დარგობრივ რანჟირებაში თსუ ფიზიკის მიმართულება – N151-200 ადგილს იკავებს; (2017 წ.).

თსუ ლიდერი კვლევითი უნივერსიტეტია საქართველოში – ყოველწლიურად 200-ზე მეტი კვლევითი პროექტით და 500-მდე პუბლიკაციით იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში;

აქ მოქმედებს 22 უცხოენოვანი პროგრამა - საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო;

თსუ-ში 22000-მდე სტუდენტი სწავლობს 67 საბაკალავრო, 95 სამაგისტრო, 51 სადოქტორო და 3 ერთსაფეხურიან სამედიცინო და პროფესიულ პროგრამაზე.

თსუ-ს ჰყავს 180-ზე მეტი საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტი მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში; 500-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი;

თსუ ბიბლიოთეკებში დაცულია 8 მილიონამდე წიგნი და 22 მილიონამდე გამოგონება/პატენტი;

თსუ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებსა და რესურსებზე;

მათ ემსახურება თანამედროვე სასწავლო სივრცეები – 16 კვლევითი ინსტიტუტი, 85-მდე სასწავლო ლაბორატორია. მათ შორის ფაბლაბი, SMART|Lab, SMART|At¬moSim-Lab, Bloomberg ლაბორატორია, სან-დიეგოს უნივერსიტეტის მიერ მოდერნიზებული ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები, მულტიმედია ცენტრი, არქეოლოგიური საველე ბაზა გრაკლიან გორაზე, სახვითი ხელოვნების სტუდია და სხვა;

სტუდენტებს აქ აქვთ აქტიური სტუდენტური ცხოვრების შესაძლებლობა; თანამედროვე სტუდენტური საერთო საცხოვრებელი.

თსუ ყველაზე მოთხოვნადი უნივერსიტეტია საქართველოში პირველი არჩევანის მიხედვით (7711 აბიტურიენტის პირველი პრიორიტეტი 2017 წელს);

უნივერსიტეტს ჰყავს 300 000-ზე მეტი კურსდამთავრებული;

თსუ კურსდამთავრებულები არიან: საქართველოს მთავრობის წევრთა 92% (13 მინისტრი 14-დან) საქართველოს პარლამენტის წევრების 46% (69 პარლამენტარი 150-დან); მოსამართლეების 99%; დიპლომატიური კორპუსის 50%-მდე და ა.შ.

## თსუ რესურსები და შესაძლებლობები სტუდენტებისთვის





გვ. 3-6

## თსუ სტუდენტები – აშშ-ში ფილიპ ს. ჯესაპის სახელობის იმიტირებული პროცესების საერთაშორისო რაუნდებში

გუნდმა ეს უფლება საქართველოს მასშტაბით გამარჯვებების შედეგად მოიპოვა. თსუ-ს გუნდი იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლისა და იურიდიული მიმართულების სტუდენტებს აერთიანებს.



გვ. 8

## თსუ დოქტორანტებმა ორმაგი აკადემიური ხარისხი მოიპოვეს

ამიერკავკასიაში პირველად, 2018 წლის 10 თებერვალს თსუ-ში ერთობლივ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის „ევროპული ლიტერატურა“ ფარგლებში თსუ დოქტორანტებს ხატია ცირგაიას და მაია ბენიძეს ორმაგი აკადემიური ხარისხი: თსუ დოქტორის ხარისხთან ერთად, ბოლონიის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი მიენიჭათ.




გვ. 8

# თსუ 100 წლისაა – იუბილის აღნიშვნა დაიწყო

***პირველი გვერდიდან***

დაკავშირებით საიუბილეო დროშები გამოიფინა თბილისის ცენტრალურ ქუჩებში, საქართველოს პარლამენტის შენობაზე და თბილისის საერთაშორისო აეროპორტში; უნივერსიტეტის ფერებში საზეიმოდ განათდა უნივერსიტეტის შენობის ფასადი, მშვიდობის ხიდი და თბილისის ანძა.

7 თებერვალს იუბილისადმი მიძღვნილი ოფიციალური მიღება გამართა საქართველოს პრეზიდენტმა; შემდგომ დღეებში კი ანალოგიური მიღებები საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და თბილისის მერთან გაიმართა.

7 თებერვალსვე თსუ პირველ კორპუსში „თსუ-ART"-ისა და კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრის ერთობლივი კონცერტი ჩატარდა, რომელზეც ყველა მსურველს შეეძლო დასწრება.

ამავე დღეს საიუბილეო დღეების ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ევროპის 4 უნივერსიტეტს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმებსა და განზრახულობათა ოქმებს მოეწერა ხელი, რომელიც ქართველოლოგიური ცენტრების შექმნასა და დაფინანსებას გულისხმობდა. ამავე დროს, გაფორმდა მემორანდუმები თსუ-სა და ევროპის 5 პარტნიორ უნივერსიტეტს შორის. მემორანდუმი უნივერსიტეტებს შორის არსებული ურთიერთობის განვითარებას, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას, გაცვლით პროგრამებში ჩართვას ითვალისწინებს.

8 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა თსუ-ს გერბი უნივერსიტეტის ცენტრალური შენობის ფოიეში. ჩატარდა უნივერსიტეტის გახსნის დღეს მთავარი საიუბილეო ცერემონია, საზეიმო პარაკლისი სამებაში და მსოფლიოს საოპერო ვარსკვლავების, ფოლკლორული ანსამბლებისა და სუხიშვილების საბალეტო დასის მონაწილეობით გალა-კონცერტი ოპერაში.

იუბილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო საერთაშორისო სიმპოზიუმი „უმაღლესი განათლების პერსპექტივა: წარსულის გაცოცხლება და ფიქრი მომავალზე", რომელიც 9 თებერვალს ჩატარდა. მასში მონაწილეობა უმაღლესი განათლების ექსპერტებმა, ევროპული უნივერსიტეტების დელეგაციებმა, თსუ პროფესორებმა და სტუდენტებმა მიიღეს. ღონისძიება ღია იყო და მასში ყველა უნივერსიტეტელს შეეძლო მონაწილეობა.

9 თებერვალსვე საპატიო დოქტორის მინიჭების ოფიციალური ცერემონია გაიმართა. თსუ-ს საპატიო დოქტორის წოდება ევროპის და აშშ-ის 7 უნივერსიტეტის რექტორებს და 3 უნივერსიტეტის პროფესორებს მიენიჭათ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით თბილისის პირველ კორპუსში რამდენიმე გამოფენა გაიმართა, მათ შორის წარმოდგენილი იყო პირველი საუნივერსიტეტო წიგნის, უნივერსიტეტის ისტორიის და თსუ-ს არქეოლოგიური ექსპედიციების აღმოჩენების ექსპოზიციები.

საიუბილეო დღეებში გახდა ცნობილი საუნივერსიტეტო სიახლეების შესახებ, რომელიც თსუ რექტორმა გააჟღერა:

თსუ იქნება ერთგვარი ჰაბი რამდენიმე ახალი პროექტისთვის. კერძოდ, თსუ-ში გაიხსნება ევროპის აკადემიის წარმომადგენლობა და იგი მთელ რეგიონს დაფარავს. აგრეთვე, თსუ-ს ბაზაზე აშშ ქიმიკოსთა ასოციაციის კომიტეტმა დაიწყო მუშაობა. აშშ ქიმიკოსთა ასოციაცია გახლავთ უმაღლესი დონის სერტიფიცირების საზოგადოება, რომლის სერტიფიცირება აშშ ფარგლებს გარეთ არც ერთი უნივერსიტეტის პროგრამას ჯერჯერობით არ გაუვლია. კომიტეტი იმუშავებს, რომ სერტიფიცირება თსუ ქიმია-ბიოქიმიის მიმართულების პროგრამებმა გაიარონ;

2019 წელს თსუ იწყებს ასევე ABET-ის აკრედიტაციის ოფიციალურ პროცესს, საუბარია კომპიუტერული მეცნიერებისა და ელექტრონული ინჟინერიის პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის მიღებაზე.

„იდეაში ჩვენ გვინდა, რომ ყველა პროგრამა თსუ-ში იყოს საერთაშორისო ვალიდაციის მქონე, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე. ყველა დიპლომი, რომელიც გაიცემა თსუ-ში, იქნება ეს ბაკალავრის, მაგისტრის თუ დოქტორის, ეს იქნება ისეთივე, როგორიც ნებისმიერი წარმატებული ქვეყნის ყველაზე დიდი და წარმატებული უნივერსიტეტის დიპლომია. დღესაც არის ბევრი ქვეყანა, რომელიც აღიარებს ჩვენს დიპლომს, მაგრამ გვინდა, რომ ამას კიდევ ხარისხი მივამატოთ", – განაცხადა თსუ რექტორმა.






***პირველი გვერდიდან***

***ლევან გიგინეიშვილი, თსუ პროფესორი:***

„თსუ ჩემი ალმა მატერია, აქ დავიწყე ჩემი ოცნების საქმე კლასიკური ფილოლოგია, თავიდანვე არაჩეულებრივი ლექტორები მყავდა: რისმაგ გორდეზიანი, თინა დოლიძე და სხვები, სწორედ ამ ხალხმა დამაკავშირა მეცნიერებასთან და დღესაც ამ სივრცესთან ვურთიერთობ. თსუ 100 წლის იუბილე მნიშვნელოვანი თარიღია. თუ ჩვენ მივდივართ ევროპისკენ, უნდა ვიცოდეთ,რომ ევროპა სწორედ საუნივერსიტეტო კულტურამ და თავისუფალი დისკუსიის სივრცემ შექმნა. მინდა ვუსურვო თსუ-ს მეტი საერთაშორისო კავშირები და მეტი თავისუფალი აზროვნება".

***გიორგი ლობჟანიძე , თსუ პროფესორი:***

ძალიან ბედნიერი დღეებია საქართველოში. ჩვენი სულიერების ყველაზე მთავარ კერას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 100 წელი შეუსრულდა. შეიძლება ვინმესთვის არ იყოს ისეთი დიდი რიცხვი, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ გვაქვს ასწლოვანი უნივერსიტეტი და ამის შეგრძნება ბედნიერებაა. ბედნიერებაა ის, რომ ხარ ამ ტრადიციის მემკვიდრე და დღევანდელ დღეს წარმოადგენ ისეთი დიდი ადამიანის დაარსებულ უნივერსიტეტს, როგორიც ბრძანდებოდა ივანე ჯავახიშვილი. ვულოცავ ყველა უნივერსიტეტელს ამ მნიშვნელოვან თარიღს.

***ლადო ჭუმბურიძე, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე:***

„საქართველოს უმთავრეს უნივერსიტეტს 100 წელი შეუსრულდა. ეს არის ძალიან დიდი იუბილე, მინდა ყველა უნივერსიტეტელსა და გულშემატკივარს მივულოცო ეს დიდი დღესასწაული. თსუ საქართველოსთვის არ არის მხოლოდ სასწავლო დაწესებულება, ის არის უმნიშვნელოვანიესი სამეცნიერო და კულტურის ცენტრი,რომელმაც მთელი მე-19 საუკუნე და მე-20 საუკუნეში ქართულ ცნობიერებას დიდი წვლილი შემატა".

***დავით ლორთქიფანიძე, ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი:***

„უნივერსიტეტის დაფუძნების იდეამ 100 წლის წინ გააერთიანა მეცნიერები, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, სასულიერო პირები, ბიზნესის წარმომადგენლები. მაშინ ეროვნული იდეის გარშემო გაერთიანდა იმდროინდელი ელიტა. უნივერსიტეტი და ეროვნული მიზეუმი ერთიანი დიდი სივრცის ნაწილია და ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ვუმასპინძლეთ იუბილეზე ჩამოსულ სტუმრებს. ეროვნული მუზეუმის ნებისმიერი საცავი და საგამოფენო სივრცე უნივერსიტეტისთვის საკლასო ოთახია. ჩვენ ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ და მომავალშიც ასე გავაგრძელებთ."

***სალომე თოფურია, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:***

„უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე მნიშვნელოვანი თარიღია არამხოლოდ უნივერსიტეტელებისთვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის. ვულოცავ ყველა უნივერსიტეტელს 100 წლის იუბილეს. ამ თარიღის ისტორიული და საგანმანათლებლო მნიშვნელობიდან გამომდინარე უნივერსიტეტმა ბევრი სირთულე გამოიარა, ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე დგას, ვუსურვებ, ღირსეულად ევლოს პროგრესისკენ და ვუსურვებ წარმატებას მეცნიერულ სივრცეში".

***ხულიო აბალდე, კორუნას უნივერსიტეტის რექტორი:***

„ჩემთვის დიდი პატივია ვიყო საქართველოში და ავღნიშნავდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასი წლის იუბილეს. ჩვენი უნივერსიტეტი და თსუ უკვე 6 წელია, რაც თანამშრომლობენ სხვადასხვა სფეროში და ვიმედოვნებთ, რომ ეს თანამშრომლობა მომავალში აუცილებლად გაგრძელდება".

***ანდრეა ტორსელო კაფოსკარის (ვენეცია) უნივერსიტეტის ვიცე -პროვოსტი:***

„მე აქ ვარ იმისთვის, რომ კაფოსკარის უნივერსიტეტის სახელით მივულოცო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ასი წლის იუბილე, მინდა გაცნობოთ რომ ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი ადგილი სადაც შესაძლებელია ქართული ენის სწავლა, სწორედ ჩვენი უნივერსიტეტია. შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ჩვენი უნივერსიტეტი უკვე დიდი ხანია თანამშრომლობენ და ვიმედოვნებთ,რომ მომავალშიც გაგრძელდება ეს თანამშრომლობა".

***მუჰამედ დრისი, რენის (საფრანგეთი) გამოყენებითი მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი:***

„ბედნიერი ვარ, რომ ქართველებთან და უცხოელ კოლეგებთან ერთად გავიზიარე უნივერსიტეტის იუბილე. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ყველაფერმა. მუზეუმში გავეცანით საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან. თსუ-სთან ურთიერთობა 3 წლის წინ დავიწყეთ ერასმუსის პროგრამის ფარგლებში. ურთიერთობებში მხარს გვიჭერს საფრანგეთის საელჩო. საიუბილეო ღონისძიება არის კიდევ ერთი ბიძგი მეტი თანამშრომლობისკენ."

***ფლორენციო პალადი, მოლდოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი:***

„ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასი წლის იუბილეზე ვიმყოფები თბილისში. ვულოცავ თქვენს უნივერსიტეტს დაბადების დღეს, თსუ ტოფ უნივერსიტეტების 2 %-შია და ეს ძალიან სასიხარულოა. თქვენი სურვილების წიგნში თსუ-ს ძალიან მოკლე, თუმცა მნიშვნელოვანი სურვილი ჩავუწერე: ვივატ, ცრესცატ, ფლორეატ (იცხოვრე, გაიზარდე, განვითარდი).

***პაოლა ინვერარდი, ლ'აქილას (იტალია) უნივერსიტეტის რექტორი***

„ყველა შეხვედრა იყო ძალიან საინტერესო. მე პირველად ვარ საქართველოში, ჩვენ გვაქვს მყარი კავშირი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, მაგრამ აქამდე არასდროს მქონია შანსი ჩამოვსულიყავი საქართველოში. ეს არის პირველი შემთხვევა გავეცნო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და გავიგო, რა როლი აკისრია მას ქვეყანაში. ქართული კულტურა არის ძალიან საინტერესო ჩემთვის. მე ვფიქრობ, ეს არის დასაწყისი ჩვენი ურთიერთობის უფრო გაღრმავებისა. დარწმუნებული ვარ, ფართო კარი გაიღება საქართველოში სამუშაოდ, რადგან ეს არის საუკეთესო გზა გავზარდოთ ახალი ევროპული თაობა".

***კლაუს კრესი, კიოლნის უნივერსიტეტის გერმანიისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი:***

„დიდი პრივილეგიაა მიიღო საპატიო დოქტორის წოდება ისეთი უძველესი და პრესტიჟული დაწესებულიების მიერ როგორიც თბილსიის სახელმწიფო უნივერსიტეტია. ძალზე მნიშვნელოვანია, დაფასებული იყო ამ მხრივ, რადგან უკვე მრავალი წელია, რაც ამ უნივერსიტეტიდან ჩემს კოლეგებთან ვთანამშრომლობ. პერიოდულად ვკითხულობდი ლექციებს სახელმწიფო უნივერსიტეტში, დავესწარი დოქტორანტურის გამშვების საზეიმო ცერემონიალს. კიოლნის უნივერსიტეტში თქვენი ბევრი გამორჩეული მოღვაწე იმყოფებოდა. ჩვენს უნივერსიტეტს ბევრი გაცვლითი პროგრამა აქვს, თქვენი უნივერსიტეტიდან ჩამოსული სტუდენტები შეისწავლიან გერმანულ ენას, წერენ გერმანულად და სწავლობენ გერმანულ სამართალს, რაც დიდი შედეგის მომტანია. ძალზე ბევრ ჩემს კოლეგას უხარია აქ ჩამოსვლა რათა ლექციები წაუკითხოს ძალიან დაინტერესებულ სტუდენტებს. გარდა ამისა, ამავე დროს ეს არის შესანიშნავი საშუალება დატკბე ფანტასტიკური ქართული სტუმართმოყვარეობით. დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ იქნება ძალიან ბევრი შესაძლებლობა თანამშრომლობის კუთხით კვლევისა და სწავლების თვალსაზრისით გაცვლითი პროგრამების თვალსაზრისით.

***აქსელ ფრეიმუტი, კიოლნის (გერმანია) უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი:***

ძალზე კარგი შეგრძნებაა, როდესაც ასეთ შესანიშნავ გარემოში იმყოფები ისეთი შესანიშნავი მიზეზის გამო, როგორიც თბილისის საზელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეა.








# საერთაშორისო ურთიერთობები



- თსუ-ს ჰყავს 180-ზე მეტი პარტნიორი უნივერსიტეტი 50-მდე ქვეყანაში;
- 100-მდე ევროპულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობს გაცვლითი პროგრამების ფარგლებში; „ერაზმუს+“ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში 2015 წლიდან დაფინანსებულია 121 პროექტი;
- ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში გაცვლითი პროგრამები 11 ევროპულ და აზიურ უნივერსიტეტში;
- თსუ-ში მოქმედებს 22 უცხოენოვანი პროგრამა, მათ შორის 13 ინგლისურენოვანი;
- სწავლობს 500-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი;
- ბოლო წლების მანძილზე თსუ-ს 1126-მა სტუდენტმა მიიღო სასწავლო სტიპენდია თსუ გაცვლითი პროგრამების ფარგლებში.

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოენოვანი პროგრამები




***საბაკალავრო პროგრამები***
- კომპიუტერული ინჟინერია – სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამა (ინგლისურენოვანი);
- ქიმია-ბიოქიმია – სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამა (ინგლისურენოვანი);
- კომპიუტერული მეცნიერება – სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამა (ინგლისურენოვანი);
- ელექტრონული ინჟინერია – სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი);
- ეკონომიკა – თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი);
- კავკასიოლოგია (რუსულენოვანი);
- რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი);
- ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია (ქართულ-რუსულენოვანი)).

***სამაგისტრო პროგრამები***
- გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ინგლისურენოვანი);
- ევრაზიისა და კავკასიის კვლევები (ინგლისურენოვანი);
- გენდერის კვლევები (ინგლისურენოვანი);
- ევროპისმცოდნეობა (ინგლისურენოვანი);
- საჯარო მმართველობა (ინგლისურენოვანი, ქართულენოვანი კომპონენტებით);
- ეკონომიკა – თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი);
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა (ინგლისურენოვანი);
- კავკასიოლოგია (რუსულენოვანი);
- სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი).

***ერთსაფეხურიანი პროგრამები***
- მედიცინა (ინგლისურენოვანი).

***სადოქტორო პროგრამები***
- ევროპისმცოდნეობა (ინგლისურენოვანი);
- მათემატიკა (ინგლისურენოვანი).

# დაფინანსების შესაძლებლობები თსუ-ში

***2018 წლისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (გარდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო და ISET-ის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისა) სწავლის წლიური საფასური 2250 ლარია. (საქართველოს მოქალაქეებისთვის);***

***ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი სახელმწიფო გრანტის (2250 ლარი) მოპოვების შემთხვევაში სწავლა სრულად დაფინანსდება. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 70%-იანი (1575 ლარი) და 50%-იანი (1125 ლარი) სახელმწიფო გრანტის მოპოვების შემთხვევაში, მიღებული გრანტის მოცულობა გამოაკლდება სწავლის საფასურს.***

***ასევე უნივერსიტეტში მოქმედებს სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული პროგრამები და არსებობს დაფინანსების დამატებითი შესაძლებლობები.***



***სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საბაკალავრო პროგრამები***
- განათლების მეცნიერებები;
- მასწავლებლების განათლება;
- მათემატიკა;
- ფიზიკა;
- ქიმია;
- ბიოლოგია/გამოყენებითი ბიომეცნიერებები/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
- ეკონომიკა;
- ისტორია;
- ქართული ფილოლოგია;
- ფილოსოფია;
- არქეოლოგია.

***სტიპენდიები***

სახელმწიფო სტიპენდია 600-800 სტუდენტამდე სემესტრულად, თვეში 150 ლარი თითოეულზე (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო).

ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია – 3 სტუდენტი თვეში 300-400 ლარი (პრეზიდენტის ფონდი). წლიურად 10000 ლარი.

ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია თვეში 200 ლარის ოდენობით. ეძლევა 1 სტუდენტს (მიზნობრივი კერძო პირი).

გიორგი გარაყანიძის სახელობის სტიპენდია. ეძლევა ეთნოლოგიაში ან ფოლკლორისტიკაში მომუშავე 1 სტუდენტს ერთჯერადად, 1500 ლარის ოდენობით (ფონდი „ქართული გალობა“).

სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქის სტიპენდია თვეში 300 ლარი თითოეულზე. ეძლევა 8 სტუდენტს (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო).

გეგეჭკორის სახელობის სტიპენდია კვარტალში 625 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. ეძლევა ერთ სტუდენტს (მიზნობრივი კერძო პირი).

გაცვლითი პროგრამით ჩამოსულ სტუდენტებს ენიშნებათ სტიპენდია ეკონომიკური შემოსავლებიდან. სემესტრულად (10-20 სტუდენტი) 17000 ლარის ფარგლებში.

სან დიეგოს სტუდენტების სტიპენდია – 6 სტუდენტი – თვეში 500 ლარი თითოეულზე.

ევგენი ხარაძის სახელობის სტიპენდია სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის 2 გამორჩეულ სტუდენტს.

***საუნივერსიტეტო დაფინანსება***

სტუდენტების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) – სწავლის საუნივერსიტეტო დაფინანსება – 650 000 ლარი ყოველწლიურად. ფაკულტეტის მიერ გამო-ცხადებული კონკურსის საფუძველზე ყოველწილურად დაახლოებით 700 სტუდენტს უფინანსდება სწავლის საფასური.

ფაკულტეტები განსაზღვრავენ დოქტორანტების სწავლის საფასურის შეღავათს. 2016-2017 სასწავლო წელს შეღავათი გაეწია 933 სტუდენტს (787 235 ლარი). გარდა ამისა, სემესტრში ყველა ფაკულტეტიდან 5-5 წარჩინებული დოქტორანტის სწავლა ფინანსდება სრულად.

სტუდენტების ჩართულობით განხორციელებული შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის გათვალისწინებულია 600 000 ლარი.

სტუდენტების გაცვლითი პროგრამებისთვის, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებისთვის, იმიტირებული პროცესებისთვის და სხვა დაფინანსებისათვის გამოყოფილია 414 995 ლარი.

სტუდენტთა ექსპედიციის და პრაქტიკის დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 235 000 ლარი. ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე 56 000 ლარი.

თითოეული ფაკულტეტიდან სამი (1 – ბაკალავრი – 500 ლარი, მაგისტრი – 1000 ლარი, დოქტორანტი – 1500 ლარი) სტუდენტი ჯილდოვდება ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმში გამარჯვებისათვის. კონკურსი ცხადდება ყოველი წლის აპრილში.

# კვლევა უნივერსიტეტში



თსუ წამყვანი სამეცნიერო და კვლევითი ცენტრია რეგიონში

თსუ ფიზიკის მიმართულება შანხაის დარგობრივ რეიტინგებში N151-200 ადგილს იკავებს, 2017 წ.

ყოველწლიურად ქვეყნდება საშუალოდ 500 სტატია იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში

ყოველწლიურად 200-ზე მეტი კვლევითი პროექტი ხორციელდება

ერთადერთი უნივერსიტეტია კავკასიაში, რომელიც შედის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში, N359 /The U.S. News&World Report - Best Global Universities Ranking/ 2017 წ.

Times Higher Education World University Rankings-ის მსოფლიოს უნივერსიტეტების 2016 წლის რეიტინგში თსუ 801+ ადგილზე

თსუ მეცნიერები მონაწილეობენ CERN-ის დიდ ადრონულ კოლაიდერზე მიმდინარე ATLAS - ექსპერიმენტში, იულიხის კვლევითი ცენტრის ამაჩქარებელზე მიმდინარე კვლევებში.

J - PARC ამაჩქარებელზე დაგეგმილ COMET ექსპერიმენტში

თსუ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2017 წლის კონკურსებში გამარჯვებული პროექტების რაოდენობით ლიდერ პოზიციას იკავებს:
- ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო გრანტების კონკურსი - 45 %
- მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტი - 50%
- რუსთაველი/DAAD - 61%
- დოქტორანტების საგანმანათლებლო პროგრამების გრანტი - 35%
- ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტი - 26%
- „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ოქსფორდის უნივერსიტეტი
- -2 -დან 1,- 50%
- CNR (ფონდი/იტალია) 4-დან 3, - 75%
- რუსთაველის ფონდი/Volkswagenstiftung 4-დან 2, - 50%

# სტუდენტური პროექტები

უნივერსიტეტი ყოველწლიურად აფინანსებს სტუდენტურ პროექტებს საგრანტო კონკურსის საფუძველზე. პროექტებს ამტკიცებს შვიდკაციანი საბჭო თსუ რექტორის მოადგილის ხელმძღვანელობით. საბჭოში თსუ-სა და სხვა უნივერსიტეტის პროფესორები, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები შედიან. 2017 წელს დაფინანსდა 161 სტუდენტური პროექტი. აქედან, 80 – სამეცნიერო, 81 – კულტურული და სპორტული ღონისძიებები. სტუდენტური პროექტებისთვის ყოველწლიურად გამოყოფილია 600 000 ლარამდე.

თსუ სტუდენტური პროექტების დაფინანსების კონკურსის მეორე ეტაპი დაიწყო და 20 აპრილამდე გაგრძელდება. მეორე ეტაპზე შემოსულ სამეცნიერო და კულტურულ/სპორტულ/საგანმანათლებლო სტუდენტურ პროექტებს 1 მაისამდე განიხილავს სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭო.

თსუ რექტორის გიორგი შარვაშიძისა და თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას 2018 წლის 29 იანვრის ერთობლივი ბრძანებით, დამტკიცდა სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომლის თავმჯდომარეა თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი თამარ გაგოშიძე.

სტუდენტური პროექტის წარდგენა შეუძლია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სამივე საფეხურის სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს.

საბჭოს წევრები სამეცნიერო პროექტებს შეაფასებენ საბჭოს მიერ შემუშავებული შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით. ხოლო კულტურულ/სპორტულ/საგანმანათლებლო პროექტებს – შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით.

სამეცნიერო და კულტურული/სპორტული/საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსების საკითხის განსახილველად საბჭო იკრიბება წელიწადში 3 ჯერ. მიმდინარე კალენდარული წლის 15 თებერვლამდე შემოტანილი პროექტების განხილვა განხორციელდება არაუგვიანეს 1 მარტისა, 20 აპრილამდე შემოტანილი პროექტების განხილვა განხორციელდება არაუგვიანეს 1 მაისისა, ხოლო 5 ოქტომბრამდე შემოტანილი პროექტების განხილვა – არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა.



თსუ I კორპუსი



თსუ II კორპუსი



თსუ X (მაღლივი) კორპუსი



# თსუ სასწავლო რესურსები

- თსუ სტუდენტებს ემსახურება უნივერსიტეტის **13** კორპუსი;
- მათ შორის **2** - კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე;

თანამედროვე სასწავლო სივრცეები - **16** კვლევითი ინსტიტუტი, **85** - მდე სასწავლო ლაბორატორია, მათ შორის: ფაბლაბი, SMART|Lab, SMART|AtmoSim-Lab, ბლუმბერგის ლაბორატორია, სან-დიეგოს უნივერსიტეტის მიერ მოდერნიზებული ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები, მულტიმედია ცენტრი, არქეოლოგიური საველე ბაზა გრაკლიან გორაზე, სახვითი ხელოვნების სტუდია, იმიტირებული სასამართლო პროცესების დარბაზი და სხვა.



თსუ III კორპუსი



თსუ, მორფოლოგიის ინსტიტუტი



თსუ, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა







თსუ ბიბლიოთეკებში (თსუ ბიბლიოთეკა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა) დაცულია 8 მილიონი წიგნი და პერიოდული გამოცემა, 22 მილიონამდე გამოგონება/პატენტი. მკითხველს აქვს წვდომა თანამედროვე სამკითხველო დარბაზებთან, მუდმივად განახლებადი ფონდების ელექტრონულ ვერსიებზე (www.ebooks.tsu.ge).



**უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს აქვთ ღია წვდომა ისეთ უმნიშვნელოვანეს ელექტრონულ ბაზებსა და რესურსებზე, როგორიცაა:** Elsevier, Scopus (www.scopus.com), Sciencedirect (www.sciencedirect.com), EBSCO Econlit (https://goo.gl/ptblg3), (Royal Society Journal Collection (www.royalsocietypublishing.org), England Journal of Medicine (www.nejm.org), Oxford Textbook of Medicine (www.oxfordmedicine.com), BioOne (www.bio-one.org), ECD-Library (www.oecd-ilibrary.org), Cambridge Journals Online (www.journals.cambridge.org), HINARI Health Access to Research Initiative - www.who.int/hinari). **ეს, და მრავალი სხვა რესურსი მათ მსოფლიო სამეცნიერო სიახლეების რეალურ დროში გაცნობის და მსოფლიო წამყვან უნივერსიტეტებთან თანაბარი შესაძლებლობების ფლობის საშუალებას აძლევს.**





თსუ მუზეუმი არქეოლოგიის, გეოგრაფიის, მინერალოგიის, პალეონტოლოგიის, უნივერსიტეტის ისტორიის, ზოოლოგიური ფონდებისა და ქართული ემიგრაციის მუზეუმებს აერთიანებს. აქ წარმოდგენილია 7000-მდე ექსპონატი.



## თსუ სტუდენტებისთვის ყოველწლიურად ატარებს უკვე ტრადიციულ კონკურსებს

ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ – პარტნიორი კომპანია „ჯეოსელი“; კონკურსი მომავალი მწერლებისთვის მნიშვნელოვან ასპარეზად იქცა. 2017 წელს კონკურსში 426 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან;

მარკეტინგული და პიარ – კონკურსი „მისია“ – ყოველწლიურად ახალი პარტნიორი ქართული ბრენდი; ბოლო წლების პარტნიორი კომპანიები IDS – ბორჯომი – საქართველო; "გეოპლანტი" (გურიელი); "ნატახტარი"; „სანტეჯი-ემ-თი პროდუქტები“; თიბისი ბანკი.

„UNIკადრი“ – კონკურსი უნივერსიტეტის შენობის, სასწავლო პროცესისა და სტუდენტური ცხოვრების ამსახველი საუკეთესო კადრის გამოსავლენად;

პლანეტა „რიდმორი“ – სტუდენტური კონკურსი მხატვრული ლიტერატურის მოყვარულთათვის. პარტნიორი გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“;

## თსუ უწყვეტი განათლება

- თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის მისიაა, საზოგადოებას მისცეს საშუალება გამოიყენოს უნივერსიტეტის რესურსები და გამოცდილება პროფესიული და პიროვნული განვითარებისთვის, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, ახალი პროფესიული უნარების შეძენისთვის.
- ცენტრი იკვლევს საჭიროებებს და უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს სთავაზობს მიზნობრივი კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს. შრომითი ბაზრისა და სოციალური მოთხოვნების, საჭიროებების კვლევის საფუძველზე კი ქმნის სასერტიფიკატო და ტრენინგ-კურსებს ფართო საზოგადოებისთვის.
- თსუ უწყვეტი განათლების ცენტრში ფუნქციონირებს საბავშვო უნივერსიტეტი და აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება.
- აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება აბიტურიენტებს სთავაზობს მოსამზადებელ კურსებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, საატესტატო გამოცდებისთვის, საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის

## თსუ საბავშვო უნივერსიტეტი

- თსუ საბავშვო უნივერსიტეტის მიზანი მოსწავლეებში სწავლისადმი, მეცნიერებისადმი ინტერესის გაზრდა და გაფართოებაა.
- საბავშვო უნივერსიტეტი მოსწავლეებს მრავალ პროგრამას სთავაზობს: ღია კარის დღეები, შეხვედრები, ლექციები, „ნორჩთა სკოლები“, ზამთრის და ზაფხულის სკოლები, კონფერენციები, ვიქტორინები, ლაბორატორიული მეცადინეობები, ლექციები პროფორიენტაციაში და სხვ. აღნიშნულ პროექტებში მონაწილეობა ხელს უწყობს მოსწავლის მიერ სხვადასხვა პროფესიის გაცნობას, პროფესიის მეტად გააზრებულად არჩევას.
- ღონისძიებები იმართება როგორც უნივერსიტეტში, ასევე დედაქალაქის და საქართველოს რეგიონის სკოლებში.
- საბავშვო უნივერსიტეტის



ღონისძიებებში ჩართვა ნებისმიერ მსურველს უსასყიდლოდ შეუძლია.

## სტუდენტური საერთო საცხოვრებელი





2017 წლიდან თსუ-ში სტუდენტთა ახალი საცხოვრებელი ამოქმედდა. საერთო საცხოვრებელი 320 ადგილიანია და ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზეა განთავსებული. საერთო საცხოვრებელი მოიცავს 3 საცხოვრებელ კორპუსს და ადმინისტრაციულ შენობას. ასევე კაფეტერიას, საკონფერენციო ოთახს, სამედიცინო პუნქტს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერების ოთახს, სამრეცხაოს და სხვა დამხმარე სახის ინფრასტრუქტურას. შენობის გარეთ მოწყობილია ღია ტიპის სპორტული მოედანი, გარე ტრენაჟორები.

## სტუდენტური ცხოვრება











***სტუდენტური დღეები, სტუდენტური კლუბური საღამოები, მოწვეული ცნობილი ქართველი მომღერლებისა და ბენდების კონცერტები – თსუ სტუდენტური ცხოვრების მხოლოდ ნაწილია.***

კულტურა – თსუ-ში დღეს მოღვაწეობენ: სტუდენტური თეატრი „სხვენი“, მუსიკალური ბენდი „თსუ ART“, „თსუ გორდელა“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი "უნივერსიტეტი", ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „უნივერსიტეტი“, თანამედროვე ცეკვების სექცია „TSU Modern“ და ანალოგიური სახელწოდების ანსამბლი, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი და სხვა. ყოველწლიურად უნივერსიტეტში 450 კულტურულ ღონისძიებაზე მეტი იმართება.

სპორტი – დღეს უნივერსიტეტში მოქმედებს ალპინიზმის, კალათბურთის, ხელბურთის, ფუტსალის, ფრენბურთის, ათლეტიზმის, მკლავჭიდის, მაგიდის ჩოგბურთის, მშვილდოსნობის და სხვა სპორტული კლუბები. წელიწადში სპორტის 19 სახეობაში 70-ზე მეტი ტურნირი ტარდება. ბოლო წლებში თსუ ფუტსალის გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდა და ჩემპიონთა ლიგაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა, უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდი სტუდენტური ლიგის ჩემპიონი გახდა, უნივერსიტეტის რაგბის გუნდი კი – საქართველოს ვიცე-ჩემპიონი.

***მეორე გვერდიდან***

კიოლნის უნივერსიტეტს არაჩვეულებრივი თანამშრომლობა აკავშირებს თსუ-სთან, რომელიც დეკადაზე მეტი ხნის წინ დაიწყო. ამ თანამშრომლობის ფარგლებში ძალზე ბევრი გაცვლითი პროგრამა განხორციელდასტუდენტებისთვის. თქვენი უნივერსიტეტი განსაკუთრებული გზით ვითარდება და წამყვანი საერთაშორისო უნივერსიტეტების საუკეთესო 2 პროცენტშია. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში იგი ამ მიმართულებით კიდევ უფრო განვითარდება. ძალზე მოხარული ვარ, რომ აქ ვიმყოფები და მომავალში უნივერსიტეტს ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ.

***სებასტიანო ფეიო დე აზევედო, პორტოს (პორტუგალია) უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი:***
„ეს პრივილეგია და პატივი კი არა, ორმაგი პრივილეგია და პატივია, იყო ამ ღირშესანიშნავ ცერემონიალზე და მიიღო ასეთი საპატიო წოდება ისეთი ცნობილი და ავტორიტეტული უნივერსიტეტისგან, როგორიც თსუ-ა. მე ეს მივიღე როგორც ჩემი უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო ურთიერთობებში შეტანილი წვლილის დაფასება. ამ მხრივ მეც ვმოღვაწეობ, მაგრამ ჩემს გარდა ეს მთელი გუნდია ვიცე-რქტორებისა, საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტისა, პროფესორებისა. აქ მე შევხვდი ქალბატონს, რომელიც 2015-2017 წლებში პორტოში სწავლობდა და დიდი სიამოვნებით იხსენებს იმ პერიოდს. წარმოდიგინეთ, ჩვენ რამდენიმე ათასი კილომეტრით ვართ დაშორებული ერთმანეთისგან. ჩვენ დასავლეთ სანაპიროზე ვართ, თქვენ კიკავკასიის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მაგრამ ჩვენ ვთანამშრომლობთ, რაც ევროპისთვის თანაშრომლობის საუკეთესო ნიმუშს წარმნოადგენს. ევროპამ უნდა ითანამშრომლის, იმისათვის, რომ იყოს უფრო ძლიერი. იმისათვის, რომ იბრძოლოს და დაიცვას ადამიანის უფლებები და ძირითადი ღირებულებები. იმისათვის, რომ განავითაროს ცივილიზაციების დიალოგი.

***ვალტერ როზენტალი, იენის (გერმანია) ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი:***
„ძალზე შემძვრელი იყო ამ ჯილდოს მიღება, რადგან ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვაკავშირებს. ჩვენი უნივერსიტეტები ორმოცდაათზე მეტი წელია რაც თანამშრომლობენ მეცნიერების სხვადასხვა დარგში, სხვადასხვა მიმართულებით, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე და მნიშვნელოვანი კავკასიოლოგია, რაც იმას ნიშნავს, რომ მეცნიერულად ვმუშაობთ ქვეყნების დიალექტებსა და შესაბამის სხვა ასპექტებზე. ჩემთვის ეს არის დიდი სტიმული და მთავარი მომენტი ჩემი აკადემიური კარიერის მხრივ. ამავე დროს ეს არის სტიმული გავაგრძელო მჭიდრო თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთნ. იქიდან გამომდინარე, რაც ამ დღეებში ვნახე და გავაგრძელე დარწმუნებული ვარ, თსუ კიდევ უფრო მეტის მიღწევას შეეცდება, რადგან სიცოცლით სავსე, არაჩვეულებრივი სულის პატრონია და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ.

***ვლადიმერ კეკელიძე, ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის (რუსეთი, დუბნა) ვეკსლერისა და ბალდინის მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორი:***
„ორგანიზაცია, რომელსაც მე წარმოვადგენ, საერთშორისო, მთავრობათშორისი ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს 18 წევრ სახელმწიფოს. 1993 წლიდან საქართველო მისი სრულუფლებიანი წევრი სახელმწიფო გახდა. აზიის, ევროპის, აშშ-ის 17 სხვა ქვეყანასთნ ერთად საქართველო განსაზღვრავს სამეცნიერო პოლიტიკას და შეაქვს თავისი ინტელექტუალური წვლილი იმ მრავალ პროექტში, რომელიც ამ ინსტიტუციის მიერ ხორციელდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. დღეს ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი დღეა, რადგან დიდი პატივია მიიღო ასეთი მაღალი რანგის ტიტული. ძალზე მადლიერი ვარ აკადემიური საბჭოს წევრებისა და პერსონალურად რექტორ გიორგი შარვაშიძისა. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უდიდესმა მეცნიერებმა, როგორიც იყვნენ ილია ვეკუა და ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის შორის ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. ეს



ურთიერთობები ძალზე წარმატებულად გრძელდება დღეისათვის, იმ ახლაგაზრდა მეცნიერების მიერ, რომლებისც გაერთიანებულ ინსტიტუტში მოდიან, იქ სამეცნიერო კარიერას იკეთებან. ძალზე ბევრი მათგანი ცნობილი მეცნიერი გახდა. მინდა გავიხსენო ვოლტერის გამონათქვამი, „მეცნიერების დიდი მიღწევები მხოლოდ დროისა და გონების გამბედაობის საკითხია“. თსუ ასეთი გონების სამჭედლოა. დარწმუნებული ვარ ასე იქნება საუკუნეების განმავლობაში. ვულოცავ ამ ღირშესანიშნავ იუბილეს უნივერსიტეტის ყევლა პროფესორ-მასწავლებელს, სტუდენტს.

***ჰოლგერ მიულენკამფი, შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის რექტორი:***
„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავი არის მაღალი ხარისხის და ძალიან ამაღელვებელი მოვლენა. მე ვფიქრობ, სამომავლო თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დიდი სარგებლის მომტანი იქნება ორივე მხარესთვის და მე ვიზრუნებ ამაზე“.

სტუმრების ნაწილმა თავისი
კომენტარები სამახსოვრო
წიგნშიც დატოვა:

***იანის იკსტენსი, ლატვიის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი*** – „გვაქვს პატივი მოწვეული ვიყოთ საუკუნოვან იუბილეზე ქართული უნივერსიტეტისა. ვუსურვებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმატებულ მომავალს და ძლიერ, ნაყოფიერ თანამშრომლობას ლატვიის უნივერსიტეტთან“.

***მანანა თანდაშვილი, ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი*** – „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ქართული ინტელიგენციას და მთელ ქართველ ერს ვულოცავ ჩვენი დიდი წინაპრების მიერ დაარსებული ეროვნული უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო განათლებისა და მეცნიერების ტაძარი საქრთველოში და იმედი მაქვს ღირსეულად გააგრძელებს ამ მისიას 21-ე საუკუნეში, ქართული მეცნიერების ახალი კადრების გაზრდას, რათა საქართველოს წარმატებით განახორციელოს მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში წარმატებული ინტეგრაცია. დიდი მადლობა ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს იმ ცოდნის მოცემისთვის, რომელმაც არსებითად განსაზღვრა ჩემი სამეცნიერო კარიერა გერმანიაში“.

***ჰოლგერ მიულენკამპ, პროფესორი, დოქტორი, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, შპაიერი*** – „გილოცავთ, დიდი მადლობა იმისათვის, რომ აქ ყოფნის შესაძლებლობა მომეცით. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომავალი განვითარებისთვის“.

***აშერ ბაშირი, პროფესორი, ნეგევის ბენ-გურიონის უნივერსიტეტი*** – „ვუსურვებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმატებულ თანამშრომლობას ბენ გურიონის უნივერსიტეტთან (ისრაელი)“.

***ვირჯილიო დ’ანტონი, სალერნოს უნივერსიტეტი (იტალია)*** – „გილოცავ დაბადების დღეს თსუ. ჩვენი საუკეთესო სურვილები მომავალი საუკუნისთვის, ჩვენს შორის მძლავრი თანამშრომლობის სურვილით“.

***ანუნციატა ფრაიეზე, სალერნოს უნივერსიტეტი*** – „მადლობა თსუ-ს მსოფლიოს ასეთი პერსპექტიული ნაწილის გაცნობის შესაძლებლობისთვის“.

***ზარა ბაღდასარიანი, იულიხის კვლევითი ცენტრის მკვლევარი*** – „ვულოცავ ჩემ უსაყვარლეს უნივერსიტეტს 100 წლის იუბილეს. დიდი წარმატება და სიამაყე. ძალიან ამაყი ვარ, თსუ რომ ჩემი ალმა მატერია“.

***ტიერი ბერიშვილი, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენელი, ქართველ ხალხთან მეგობრობის ფრანგული კულტურული ასოციაციის პრეზიდენტი*** – „ჩვენ შეგვიძლია ავაგოთ კიბე, რომელიც ვარსკვლავებს მისწვდება და თვითოეულ საფეხურზე ავიდეთ! გაუმარჯოს საქართველოს“.

***სებიასტიან შმიტი, ბორდის წევრი, იულიხი, გერმანია*** – „იულიხი გულთბილად გილოცავთ. ვამაყობთ თქვენთან პარტნიორობით და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოსოს მშვიდობიანი დაქრმატებული მომავლისთვის“.

***ალიოშა ნოიბაუერი, ავსტრა, გრაცის უნივერსიტეტი*** – „გრაცის უნივერსიტეტის სახელით მსურს გადმოგცეთ საუკეთესო სურვილები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეზე. გისურვებთ ყოველივე საუკეთესო თსუ-ს საუკეთესო მომავლისთვის მრავალი საუკუნე“.

***ზირდ ქლოტინგი, ევროპის აკადემიისა COST ასოციაციის პრეზიდენტი*** – „ჩემი გულწრფელი მილოცვები თსუ-ს 100 წლის იუბილეთან დაკავშირებით. ეს ნამდვილოად უმნიშვნელოვანესი თარიღია. მსოფლიოს საუკეთესო 2 პროცენტში უმთავრესი მიღწევაა. ამ აღნიშვნით თსუ ადასტურებს თავის არჩევანს ადამიანური კაპიტალის აღზრდისა და კვლევების სრულყოფისა საქართველოსა და საზოგადოების სასარგებლოდ. ევროპის აკადემია და ასოციაცია ევროპული თანამშრომლობისათვის მეცნიერებისა და ტექნოლოგიებში (COST ასოციაცია) დიდ პატივად თვლის ამ სადღესასწაულო აღნიშვნებში მონაწილეობას. მოუთმენლად ველით უფრო ინტენსიურ თანამშრომლობა, დაახლოებას თსუ-სა და საქართველოსთან“.

***დავით ფრანგიშვილი, პასტერის ინსტიტუტი, პარიზი*** – „მოხარული ვარ, რომ მონაწილეობას ვიღებ ჩემი მშობლიური უნივერსიტეტის 100 წლის დაბადების დღის ზეიმში. მადლობელი ვარ მოწვევისთვის. როდესაც ვიხსენებ რამდენმა ადამიანმა დაიწყო თავისი აღმასვლა თბილისის უნივერსიტეტში და როგორ მწვერვალებს მიაღწია, სიამაყით მევსება გული, რომ მეც ამ კედლებში მივიღე განათლება. უნივერსიტეტის დაარსებამ ნამდვილად გამოაჩინა ქართველი ერის დიდი სამეცნიერო პოტენციალი. ვუსურვებ ჩემს უნივერსიტეტს კიდევ მრავალი წელი დარჩეს მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო კერად“.

***ნოდარ ხადური, თსუ პროფესორი, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე*** – „დიდი პატივია იყო უნივერსიტეტელი და მონაწილეობდე მისი 100 წლის საუბილეო ღონისძიებებში. ვულოცავ ჩემს უნივერსიტეტს, ყველა სტუდენტს, კურსდამთავრებულს, პროფესორს, თანამშრომელს. დიდი წარმატებები გველის წინ“.

***სოზარ სუბარი, თსუ-ს კურსდამთავრებული*** – „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა საფუძველი ჩაუყარეს არა მხოლოდ სასწავლო ცენტრს, არამედ ახალი საქართველოს საძირკველს. დიდ ხანს გაეგრძელებინოს თსუ-ს, ყოფილიყოს საქართველოს მომავლის ერთგული მჭედელი. დიდი პატივია გერქვას უნივერსიტეტელი“.

***რუსუდან ლორთქიფანიძე, თსუ ყოფილი რექტორი*** – „პირველი ქალი რექტორის სასახელით საუკეთესო სურვილებით ვულოცავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 100 წლის იუბილეს. ულრმესი პატივისცემით“.

***დესისლავა ივანოვა, ბულგარეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში*** – „ვულოცავ თსუ-ს 100 წლის იუბილეს. ვუსურვებ წარმატებას მომავალ წლებში. განათლება კეთილდღეობისა და დამოუკიდებლობის საწინდარია“.

***თინა ქიტუაშვილი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი*** – „ამ უმნიშვნელოვანეს თარიღს ვულოცავ ჩემს ძვირფას კოლეგებს და სტუდენტებს და ვუსურვებ წარმატებას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ“.

***გუგული მაღრაძე, თსუ პროფესორი, საქართველოს პარლამენტის წევრი*** – „ბედნიერება და სიამაყეა გქონდეს ასეთი უნივერსიტეტის როგორიცაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელშიც მთავარი ყოველთვის იყო არა მხოლოდ განათლების მიღება, არამედ ქვეყნის სიყვარულით და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით ახალგაზრდა თაობის აღზრდა. უნივერსიტეტი ყოველთვის იყო, არის და იქნება თავისუფალი აზროვნების და მაღალზნეობრივი იდეალების ადგილი. მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ცხოვრების და საქმიანობის 50 წელი წელი ვარ უნივერსიტეტის ცხოვრების მოზიარე, როგორც სტუდენტი და ახლა როგორც პროფესორი. არ არსებობს ამაზე მაღალი და საპატიო პოზიცია“.

***პროფესორი რუვენ ენოხი (რუბენ ენიოქიშვილი) არიელის უნივერსიტეტი, ისრაელი*** – „ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს უღრმესი პატივისცემითა და მადლობით ვულოცავ სახელოვან იუბილეს. მრავაჟამიერ!“

***ტატიანა იაროშენკო, ვიცე-პრეზიდენტი კვლევების მიმართულებით*** – „კიევი-მოგილიანსკის აკადემიის ნაციონალური უნივერსიტეტის სახელით და პერსონალურად, გთხოვთ მიიღოთ ჩემი ყველაზე გულწრფელი მილოცვები“.

***ანა გელაშვილი. ფსიქოლოგიის ფაკულტეტი*** – „ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტს (სულ და მუდამ) ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალი საუკუნე მიეთვალოს მის დიდებას. ვამაყობ, რომ წილად მხვდა ბედნიერება, მერქვას უნივერსიტეტელი, თსუ, გილოცავ „გაასებას“. კიდევ მრავალი წელი მდგარიყავი მედგრად“.

***სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტის რექტორი*** – „ძვირფასო უნივერსიტეტელებო, გილოცავთ ამ გამორჩეულ დღესასწაულს. ჩვენ ყველანი ვალში ვართ ქართული უნივერსიტეტის წინაშე“.

***ზვიად ჭუმბურიძე, ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი*** – „ქართული სულიერების, განათლების და თავისუფლების სიმბოლო-ჩვენი უნივერსიტეტი 100 წლის გახდა. ვულოცავ ყველა ქართველს, განსაკუთრებით უნივერსიტეტელებს ამ დიდებულ იუბილეს. განსაკუთრებული მადლობა რექტორს გიორგი შარვაშიძეს იუბილეს ბრწყინვალე ორგანიზებისთვის“.

* * *

თსუ 100 წლის საიუბილეო ღონისძიებას, 8 თებერვალს, სხვა სტუმრებთან ერთად, ივანე ჯავახიშვილის შთამომავალი, 8 წლის ივანე ჯავახიშვილიც ესწრებოდა. ის მამასთან და ბებიასთან ერთად იმყოფებოდა იუბილის გახსნის ოფიციალურ ღონისძიებაზე. პატარა ივანე თბილისში 2009 წლის 12 ივლისს დაიბადა, არის მე-60 სკოლის, მე-3 კლასის მოსწავლე და მისი წინაპრისგან განსხვავებით, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით დაინტერესებულია. როგორც ჩვენთან საუბრისას ამბობს, ძალიან უყვარს თავგადასავლები, მათემატიკა და ფიზიკა, თავისუფალ დროს კი „რობოტიქსში“ ატარებს.



„კომაროვის საკვირაო სკოლაში დავდივარ, ბევრს ვმეცადინეობ მათემატიკაში. ჩემთვის ძალიან საინტერესოა ციფრები და რთული კონსტრუქციების აწყობა. მიყვარს რობოტექნიკა, ამიტომ „რობოტიქსშიც“ დავიწყე სიარული, სადაც რობოტების აწყობას ვსწავლობთ“.

კითხვაზე, თუ რას აპირებს მომავალში, ჯერჯერობით, პასუხი არ აქვს, თუმცა დარწმუნებულია, რომ მისი სამომავლო საქმიანობა მათემატიკასთან იქნება დაკავშირებული.

# თსუ დესპანი – 2018

***პროექტი „თსუ დესპანი – 2018" დაიწყო. პროექტში მონაწილეებს მთელი წლის განმავლობაში ექნებათ შესაძლებლობა მშობლიურ სკოლაში თსუ პროფესორებთან და საბავშვო უნივერსიტეტთან ერთად დაგეგმონ სხვადასხვა ღონისძიება. სკოლებში პრეზენტაციის დაგეგმვამდე მათ ტრეინინგები ჩაუტარდათ. „თსუ დესპანი – 2018“-ში მონაწილეებს თსუ რექტორი, გიორგი შარვაშიძე შეხვდა და წარმატებები უსურვა.***

***„თსუ დესპანი“ საბავშვო უნივერსიტეტის პროექტია, რომლის მიზანია ნებისმიერი საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტმა მშობლიური სკოლის მოსწავლეებს გააცნოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტური ცხოვრება.***

***თათია მაისურაძე**, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია, ის თსუ-ს შესახებ პრეზენტაციას იმ სკოლაში აპირებს,რომელიც დაამთავრა. სანამ თათია ქალაქ რუსთავის 22-ე საჯარო სკოლას ესტუმრება, მანამდე ჩვენ მოგვიყვება პროექტისა და იმ გეგმების შესახებ, რომელსაც „თსუ დესპანის“ ფარგლებში განახორციელებს.*

„დესპანის პროექტი ჩემთვის რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო. პირველი, როგორც უკვე აღვნიშნე ის შესაძლებლობაა, რომელსაც პროექტი აძლევს უნივერსიტეტის სტუდენტებს. ვფიქრობ, მართლაც დიდი პატივია გქონდეს საშუალება ისაუბრო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაზე და გააცნო სტუდენტური ცხოვრება მომავალ თაობას. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც ეს პროექტი განსაკუთრებით მომწონს არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელთანაც დესპანები ამყარებენ კომუნიკაციას, კერძოდ სკოლის მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეები. ეს ის ასაკობრივი ჯგუფია, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება სწორი და ადეკვატური ინფორმაციის ცოდნა უნივერისტეტსა და ზოგადად სტუდენტურ ცხოვრებაზე.

ჩემი აქტივობის გეგმა გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეებს მივაწოდო მაქსიმალურად ბევრი მათთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაცია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე, ვესაუბრო ფაკულტეტებსა და მათ ძირითად მიმართულებებზე, ასევე სტუდენტურ ცხოვრებაზე, რომელიც არაერთ საინტერესო აქტივობას მოიცავს და სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი თავი გამოავლინონ სხვადასხვა მიმართულებით. ასევე შეხვედრას ვგეგმავ რუსთავის მე-20 და თბილისის 175-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.

იყო უნივერსიტეტის დესპანი, ჩემთვის ეს არის საპატიო და ამავდროულად ძალიან სასიამოვნო მისია, რადგან შემიძლია მოსწავლეებს ვუთხრა, რომ უნივერსიტეტი 100 წლისაა და “ჩვენ 100 წლის ახალგაზრდები ვართ“.

***მარიამ სანდროშვილი**, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, მე-3 კურსის სტუდენტია, ფიქრობს რომ თსუ 100 წლის იუბილეზე პროექტი „თსუ დესპანი“ სკოლებს ამ იუბილის ერთობლივად აღნიშვნის შესაძლებლობას მისცემს.*

„სკოლას, რომელმაც ბევრი რამ მომცა, მინდა მცირედით დავუბრუნო სიკეთე. ვთვლი რომ ძალიან მნიშვნელოვანია აბიტურიენტმა იცოდეს ზოგადად ყველაფერი უნივერსიტეტის შესახებ, შედეგად ეს განაპირობებს ახალგაზრდის აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი გვაქვს მშობლიურ სკოლაში ვიზიტი. პირადად მე დავამთავრე ასპინძის რაიონ სოფელ რუსთავის საჯარო სკოლა, შესაბამისად, ვაპირებ ჩემს სკოლაში ჩავატარო ტრენინგი“, – აღნიშნავს მარიამი.

***საბა მოდებაძე**, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მე-2 კურსის სტუდენტია. საბა ამბობს, რომ მშობლიური სკოლის გარდა, რეგიონებშიც, კერძოდ, ჭიათურის მუნიციპალიტეტში და სოფელი კაცხის საჯარო სკოლაშიც აპირებს შეხვედრის გამართვას და თსუ-ს აბიტურიენტებისთვის გაცნობას.*

„მაქვს პატივი ვესტუმრო მშობლიურ სკოლას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით და გავაცნო უნივერსიტეტის დაარსების ისტორია, საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტური ცხოვრება.

პრეზენტაციის დაგეგმვამდე ჩვენ გავიარეთ სპეციალური ტრენინგი პროექტის ორგანიზატორებთან, ასევე გვქონდა შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან. მონაწილეებმა აირჩიეს მშობლიური სკოლები და უახლოეს პერიოდში ეწვევიან მათ. მაქვს პატივი თსუ – დესპანის სახელით ვესტუმრო ჩემს მშობლიურ თბილისის 175-ე საჯარო სკოლას, ამასთან ერთად გადავწყვიტე ჩავიდე ჭიათურის მუნიციპალიტეტში და სოფელ კაცხის საჯარო სკოლაში გავმართო შეხვედრა.'' - ამბობს საბა.

პროექტი 6 წელია ხორციელდება. პროქტში მონაწილეობა ხელს უწყობს სტუდენტებში მოხალისეობრივი პრაქტიკის დანერგვას და არაფორმალური განათლების განვითარებას, რომელიც რექტორატისა და ადმინისტრაციის განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობს.

# თსუ დოქტორანტებმა ორმაგი აკადემიური ხარისხი მოიპოვეს

ამიერკავკასიაში პირველად, 2018 წლის 10 თებერვალს თსუ-ში ერთობლივ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის „ევროპული ლიტერატურა“ ფარგლებში თსუ დოქტორანტებს ხატია ცირგაიას და მაია ბენიძეს ორმაგი აკადემიური ხარისხი: თსუ დოქტორის ხარისხთან ერთად, ბოლონიის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი მიენიჭათ.

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა „ევროპული ლიტერატურა“ (DESE - Doctorat d'Etudes Supérieures Européennes) თსუ-ში 2011 წლიდან ხორციელდება. ბოლონიის უნივერსიტეტთან ერთად აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია ევროპის წამყვანი უნივერსიტეტები, მათ შორის ოტ-ალზასის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), კლერმონ-ფერანის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), იაგელონის უნივერსიტეტი (პოლონეთი), ვალადოლიდის უნივერსიტეტი (ესპანეთი) და სხვა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებმა ექვსთვიანი სადოქტორო სტაჟირება გაიარეს ბოლონიის უნივერსიტეტში, შემდეგ კი ორთვიანი სტაჟირება ოტ ალზასის უნივერსიტეტში (საფრანგეთი, ქ. მულუზი). ხატიას და მაიას თქმით, მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თსუ 100 წლის თავზე დოქტორის ორმაგი ხარისხის მიღება.

***მაია ბენიძე, ფილოლოგიის დოქტორი:***

„ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დოქტორის ორმაგი აკადემიური ხარისხი გაიცა და განსაკუთრებით სიმბოლურია, რომ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა თსუ-ს 100 წლის იუბილეს დაემთხვა.

სადოქტორო პროგრამის საკვლევი თემატიკა განისაზღვრება თსუ–ს პარნტიორი საერთაშორისო ქსელის (DESE) მონაწილეთა ერთობლივი გადაწყვეტილებით.

2011 წელს მე და თსუ-ს კიდევ სამი დოქტორანტი ჩავირიცხეთ აღნიშნულ პროგრამაზე, რომლის თემატური ციკლი გახლდათ « ბიბლია ევროპულ ლიტერატურაში ». ამავე წელს ხელი მოეწერა თსუ-სა და ბოლონიის უნივერსიტეტებს შორის თანახელმძღვანელობის ხელშეკრულებას და ჩვენც მოგვეცა უნიკალური შესაძლებლობა, თსუ-ს დიპლომთან ერთად, მიგვეღო ბოლონიის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი.

გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ ადამიანს, ვინც აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობდა და ამ წლების განმავლობაში გვერდით გვედგა: ჩვენ სამეცნიერო ხელმდვანელებს ქ-ნ მედეა კინწურაშვილსა და ქ-ნ ანა სონჩინის (ბოლონიის უნივერსიტეტი), პროგრამის ხელმძღვანელს ქ-ნ ირინე დარჩიას და DESE-ს კოორდინატორს ქ-ნ ბრუნა კონკონის, თსუ-სა და პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალს. განსაკუთრებული მადლიერება გვინდა გამოვხატოთ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის მიმართ. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ პროგრამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თსუ-ში დოქტორანტურის საფეხურზე სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების, ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის კუთხით საზღვარგარეთ. საერთაშორისო თანამშრომლობის მომავალში გაღრმავება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას და მის ჩართვას ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში“.

***ხატია ცირგაია, ფილოლოგიის დოქტორი:***

„ამიერკავკასიის მასშტაბით, თსუ არის პირველი უნივერსიტეტი, რომელმაც შეძლო ისეთი აღიარების მქონე სასწავლებლის ნდობის მოპოვება, როგორიცაა ბოლონიის უნივერსიტეტი. ეს კი, უდავოდ, ხელს შეუწყობს ჩვენი უნივერსიტეტის პოპულარიზაციას, მის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. პროექტის წარმატებით განხორციელება დიდი სტიმულია უნივერსიტეტელებისათვისაც, რადგან თსუ მათ აძლევს უნიკალურ შანსს, მოიპოვონ დოქტორის ორმაგი აკადემიური ხარისხი“, – ამბობს ხატია.

# თსუ სტუდენტები – აშშ-ში ფილიპ ს. ჯესაპის სახელობის იმიტირებული პროცესების საერთაშორისო რაუნდებში



თსუ სტუდენტების გუნდი საქართველოს სახელით აშშ-ში ფილიპ ს. ჯესაპის სახელობის იმიტირებული პროცესების საერთაშორისო რაუნდებში იასპარეზებს. გუნდმა ეს უფლება საქართველოს მასშტაბით გამარჯვებების შედეგად მოიპოვა. საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამართულ ეროვნულ რაუნდებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, თავისუფალი უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდებმა იასპარეზეს. თსუ-ს გუნდი იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლისა და იურიდიული მიმართულების სტუდენტებს: გიორგი ბაიძეს, ნინო გოშხეთელიანს, ნანა ყრუაშვილსა და თამთა შამათავას აერთიანებს.

თსუ-ს გუნდმა საერთაშორისო რაუნდებში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ამავე გუნდს ერგო პოზიციის წერილობით საუკეთესოდ წარმომდგენი გუნდის ტიტული; ამასთან, გიორგი ბაიძემ შეჯიბრის საუკეთესო სპიკერის ჯილდოც დაიმსახურა.

ფილიპ ს. ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესები უკვე 59 წელია საერთაშორისო სამართლის ყველაზე პრესტიჟულ კონკურსად მიიჩნევა. მასში 645 სამართლის ფაკულტეტი მონაწილეობს მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან. კონკურსში გაეროს სამართლებრივი ორგანოს - მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს იმიტირებული სასამართლო პროცესის ფარგლებში ეჯიბრებიან სტუდენტები საერთაშორისო სამართლის ცოდნის წერილობითა და ზეპირი გამოსვლით დემონსტრირებით. თსუ გუნდის ჩამოყალიბება და მომზადება 2017 წლის ივნისში პროფესორ ქეთევან ხუციშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო. გუნდის წევრები კონკურსის წესით საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პროფესორების მიერ ჩატარებული ორი საზაფხულო სკოლის მონაწილეთაგან შეირჩნენ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი საერთაშორისო რაუნდებში ვაშინგტონში, აშშ, 2018 წლის 1-7 აპრილს იასპარეზებს.

გუნდის მწვრთნელი თსუ დოქტორანტი თამთა ზაალიშვილი:

საერთაშორისო იმიტირებული პროცესების, როგორც შეჯიბრის, სირთულიდან გამომდინარე, სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით მოასპარეზე გუნდის შერჩევა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. სწორედ ამიტომ, 2017 წლის გაზაფხულის სემესტრის დასასრულს, აკადემიკოს ლევან ალექსიძისა და პროფესორ ქეთევან ხუციშვილის ხელმძღვანელობით საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ, ორი საზაფხულო სკოლის ფარგლებში, შეირჩა ჯესაპის, ტელდერსის, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსა და პიქტეს იმიტირებულ პროცესებში მონაწილე გუნდები. შესაბამისად, გვქონდა შესაძლებლობა ზაფხულიდანვე აქტიურად დაგვეწყო მომზადება.

***რატომ არის მნიშვნელოვანი მსგავს პროექტებში მონაწილეობის მიღება?***

ვფიქრობ, მსგავს პროექტებში მონაწილეობის მიღება ძალიან მნიშვნელოვანია სამართლის სტუდენტებისთვის, რადგან სწორედ ასეთი პროექტებით ეძლევათ შესაძლებლობა, პრაქტიკაში გამოიყენონ საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში მიღებული ცოდნა, გაიუმჯობესონ სამართლებრივი კვლევისა და ზეპირი გამოსვლის უნარები, რაც დადებითად აისახება მათ პროფესიულ კარიერაზე.

ეროვნული რაუნდი 2018 წლის 3-4 თებერვალს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა. მასში მონაწილე ოთხივე უნივერსიტეტის გუნდმა მომზადების ძალიან მაღალი დონე აჩვენა. ფინალურ რაუნდში შეჯიბრის პატივი თსუ-სა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გუნდებს გვერგო. ვფიქრობ, ფინალი საკმაოდ საინტერესო და ემოციურად დატვირთული იყო.

***თამთა შამათავა**, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესებისადმი მისი ინტერესი განსაკუთრებით 2017 წელს ტელდერსის სახელობის იმიტირებულ პროცესში მონაწილეობის შემდეგ გაიზარდა.*

“ფილიპ ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესი (Philip C. Jessup International Law Moot Court Competition) მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური იმიტირებულ პროცესია, რომელშიც 100-მდე ქვეყნის 700-მდე უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი იღებს მონაწილეობას. კონკურსის ფარგლებში მიმდინარეობს სახელმწიფოებს შორის სიმულაციური დავა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) წინაშე. საერთაშორისო ორგანიზაციების, მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და საქვეყნოდ ცნობილი სწავლულების მიერ ჯესაპი მიიჩნევა ყველაზე პრესტიჟულ იმიტირებულ პროცესად. ამასთანავე იგი წარმოადგენს სტუდენტებს შორის გამოცდილების გაზიარების და კულტურული ურთიერთგაცვლის შესანიშნავ პლატფორმას.

ჯესაპის იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ საერთაშორისო საჯარო სამართლის სიღრმისეული ცოდნა, გამოიმუშავონ ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარები და დაეუფლონ ორატორულ ხელოვნებას. სტუდენტების განსაკუთრებულ ინტერესს ასევე განაპირობებს უნიკალური შესაძლებლობა, დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობა საერთაშორისო სამართლის სტუდენტებთან, პრაქტიკოს იურისტებთან და საქვეყნოდ ცნობილ სწავლულებთან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ჯესაპის ე.წ. საქმე, რომლის საფუძველზეც იმართება სიმულაციური დავები, მოიცავს საერთაშორისო საჯარო სამართლის ყველაზე აქტუალურ საკითხებს, რომელთა მიმართებით სასამართლოს (ICJ-ს) პრაქტიკა ჩამოყალიბებული არ არის. შესაბამისად, ჯესაპი წარმოადგენს შესაძლებლობას, უშუალოდ შეიტანო წვლილი საერთაშორისო საჯარო სამართლის განვითარების პროცესში“.

***ნანუკა ყრუაშვილი** კონკურსის მიმდინარეობისას არსებული იმ სირთულეების შესახებ გვიყვება, რომლის დაძლევაც გუნდს ერთობლივად მოუწია.*

„პირველივე შეხვედრიდან ხუთივე ყოველთვის მზად ვიყავით ერთმანეთის დასახმარებლად და იდეების გასაზიარებლად. ვიტყოდი, რომ ჩვენს გუნდურობას საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს გამარჯვებაში. ალბათ, ვერც კი წარმოვიდგენდი სხვებთან ერთად ჯესაპის იმიტირებულ პროცესში მონაწილეობას. თითოეული დავალება თავისი ხასიათით რთული არ ყოფილა, თუმცა ვინაიდან დრო ბევრი არ გვქონდა, გვიწევდა ამ დავალებებზე კომპლექსურად მუშაობა, რაც საკმაოდ შრომატევადი იყო.“

***ნინო გოშხეთელიანი**, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი:*

„შეჯიბრებამდე და შეჯიბრების მსვლელობისას არ ვღელავდი, მჯეროდა ჩემი გუნდის თითოეული წევრის შესაძლებლობისა და ჩვენი წარმატების. შესაბამისად, მოთმინებით ველოდი შედეგის გამოცხადებას. როდესაც გაიჟღერა გადაწყვეტილებამ, რომ საქართველოს ჩვენ, თსუ გუნდი წარვადგენდით ვაშინგტონში, ყველას გაგვიხარდა, ზოგიერთი ჩვენგანი სიხარულის ცრემლებსაც კი ვერ მალავდა.

პრიზის სახით, უპირველეს ყოვლისა, მივიღეთ ნებართვა საერთაშორისო რაუნდებში მონაწილეობაზე. ასევე, გადმოგვეცა სერტიფიკატები ეროვნულ რაუნდში წარმატებით მონაწილეობისთვის და თასი, რომელიც უნივერსიტეტში, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტში ინახება“.

გამარჯვებული გუნდის წევრის, ***გიორგი ბაიძის*** თქმით, უნივერსიტეტში მიღებული განათლება გადამწყვეტი ფაქტორი იყო გუნდის გამარჯვებისთვის.

„თსუს საერთაშორისო სამართლის მიმართულების ლექტორები გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციით და სწორედ მათგან მიღებული ცოდნა დაგვეხმარა ჩვენი მონაწილეობა გამარჯვებით დაგვეგვირგვინებინა. სამომავლოდ ერთობლივად ვგეგმავთ მონაწილეობას სხვა საერთაშორისო კონკურსებშიც.

ჯესაპის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესის ეროვნული რაუნდის მოგება იყო ჩვენი ერთ-ერთი მიზანი, თუმცა უფრო მეტად კონცენტრირებული ვიყავით და ვართ საერთაშორისო რაუნდებზე, რომელიც გაიმართება აპრილში ვაშინგტონში, აშშ-ი“, – ამბობს გიორგი.

# „საქართველოს გეომორფოლოგია“ ინგლისურად




სულ მცირე ხანში შვეიცარიაში შპრინგერ ინტერნაციონალ უბლისჰინგ-ის მიერ ინგლისურ ენაზე თსუ ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის წარმომადგენელთა ნაშრომი, „საქართველოს გეომორფოლოგია“ გამოიცემა.

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, და გეოგრაფიული მრავალფეროვნება. განხილულია ისეთი რელიეფის ტიპები, როგორიცაა – კარსტული, ზღვის სანაპიროს, გლაციალური და პოსტგლაციალური, ვულკანური, ურბანული და სხვ. დახასიათებულია საქართველოს მთავარი გეომორფოლოგიური რეგიონები და ძირითადი ოროგრაფიული ერთეულები – დაბლობები, ვაკეები, ხეობები, კანიონები, ზეგნები, პლატოები, მაღლობები, ქედები. მოცემულია საქართველოს კლიმატი, ჰიდროგრაფია, ნიადაგები. ასევე განხილულია საქართველოში გავრცელებული ეგზოგენური პროცესები.

როგორც წიგნის რედაქტორი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი ლევან ტიელიძე აღნიშნავს: „წიგნის ინგლისურ ენაზე გამოცემა, პირველ რიგში, მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბიბლიოთეკებში მის გავრცელებას შეუწყობს ხელს. ეს კი თავის მხრივ ქართული მეცნიერების პოპულარიზაციისთვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. წიგნი ივანე ჯავახიშვილის სახელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 და ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 85 წლის იუბილეს ეძღვნება. ასევე ეძღვნება წინა თაობის ქართველ გეომორფოლოგ-მკვლევარებს, რომლებიც ძირითადად გასულ საუკუნეში მოღვაწეობდნენ და მნიშვნელოვან გეომორფოლოგიურ ნაშრომებს ქმნიდნენ. რადგან მეოცე საუკუნეში ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა მხოლოდ ქართულ და რუსულ ენებზე იბეჭდებოდა (ყოფილი საბჭოთა კავშირის „ჩაკეტილი სისტემის“ გამო), ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ავტორთა სახელები და მათი ნაშრომები საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებამდე ვერ აღწევდა და სამწუხაროდ მათი უმეტესობა დღემდე უცნობად რჩება“.

რედაქტორის განმარტებით, წიგნის დაწერის წინაპირობას, როგორც გასულ საუკუნეში, ასევე ბოლო წლებში, სხვადასხვა თაობის 19 თანაავტორის მიერ დისტანციურად და სტაციონარულად ჩატარებული გამოკვლევები წარმოადგენს საქართველოს ყველა რეგიონში. ნაშრომში გამოყენებული ილუსტრაციები (როგორც რუკების, ასევე ფოტომასალის სახით) შექმნილი და მოპოვებულია ავტორების მიერ სხვადასხვა წლებში, როგორც საველე, ასევე სტაციონარული მუშაობის შედეგად.

პირველი გეომორფოლოგიური შინაარსის ფუნდამენტური ნაშრომი ჯერ კიდევ 1926 წელს აკადემიკოსმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა. გასულ საუკუნეში გეომორფოლოგიური კვლევები ძირითადად ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიის განყოფილებაში ტარდებოდა, სადაც მუშაობდა მაშინდელი გეომორფოლოგიური სკოლის თითქმის ყველა წარმომადგენელი.

წიგნის შეძენა „ონლაინ“, ინტერნეტის საშუალებით იქნება შესაძლებელი.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge